საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

№	გრანტის გამცემი	გრანტის დასახელება	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტის ხელმძღვანელი	მოცულობა (თანხა)	სტატუსი დასრულებული/ მიმდინარე	გრანტის კოდი
1	ესტონეთის განათლების და კვლევების სამინისტრო და ფონდი არქიმედე	ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის საკითხები საქართველოში	16.04.2020 - 03.05.2020	პროფ. დალი სეხნიაშვილი	720 ევრო	დასრულებული	
2	ლატვიის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი, განათლებისა და განვითარების სააგენტო	ქალთა სამეწარმეო შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში	02.02.2019 03.07.2019	პროფ. დალი სეხნიაშვილი	6000 ევრო	დასრულებული	
3	Erasmus+ Jean Monnet Module	ევროპული იდეა და საქართველოს ევროპული ინტეგრაცია	2018-2022	ემზარ ფაჟავა	30000 ევრო	დასრულებული	საგრანტო ხელშეკრულებ # -2019 - 1899 006 – 001)

პროექტი: **ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის საკითხები საქართველოში**

აბსტრაქტი: კვლევითი პროექტი ფოკუსირებული იყო შემდეგ კვლევით კითხვებზე:

- როგორია ქალთა სამეწარმეო შესაძლებლობების ამაღლების ბიზნეს გარემო საქართველოსა და ესტონეთში?
- როგორია ქალთა ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა საქართველოსა და ესტონეთში?

კონკრეტული შედეგი - კვლევის შედეგად გამოვლინდა ის სფეროები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას და ის ფაქტორები, რომლებიც ხელს შეუწყობს მაღალი პოტენციალის მქონე ქალი მეწარმეების საქმიანობას საქართველოში.

რეკომენდაციები. კვლევითი პროექტის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბდა რიგი რეკომენდაციები საქართველოში პოლიტიკის შემქმნელებისთვის, სამთავრობო მოხელეებისა და სხვა გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გაუმჯობესონ პირობები ქალთა მაღალი პოტენციური მეწარმეობის განვითარებით საქართველოში. რეკომენდაციები გამოქვეყნდა სტატიების სახით საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში: „ბიზნეს-ინჟინერინგი“ და „ეკონომიკა და ფინანსები“.

პროექტი: **„ქალთა სამეწარმეო შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში“**

აბსტრაქტი: პროექტის მიზანი იყო ლატვიის ქალთა მეწარმეობაში ყველაზე ეფექტური ინიციაციების შესწავლა და მათი გამოცდილების გაზიარება ამ სფეროში.

კონკრეტული შედეგი - გაკეთდა შედარებითი ანალიზის ქალთა სამეწარმეო შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით არსებული პრაქტიკების შესახებ საქართველოსა და ლატვიაში. გაანალიზდა ლატვიის გამოცდილება და შედარებულ იქნა გენდერული დიფერენციაციის პირობები ლატვიასა და საქართველოში, იმის გათვალისწინებით, რომ ლატვიას აქვს მაღალი პოზიციები საერთაშორისო ინდექსების მიხედვით მოცემულ სფეროში.

რეკომენდაციები - შედარებითი ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული რეკომენდაციები გამოქვეყნდა სტატიების სახით საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში: „ბიზნეს-ინჟინერინგი“ და „ეკონომიკა და ფინანსები“. გაკეთდა მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ინსტიტუციონალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პარადიგმები“ 2019 წლის 26 ივლისი, რიგა, ლატვია. მოხსენების თემა: ქალთა სამეწარმეო აქტივობის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა და ახალი

ინიციატივები ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის. მოხსენება დაიბეჭდა კონფერენციის მასალათა კრებულში.

პროექტი: **„ევროპული იდეა და საქართველოს ევროპული ინტეგრაცია“**

1. **კონკრეტული შედეგი:**

სალექციო კურსი

მომზადდა სალექციო კურსის ელექტრონული და ბეჭდური ვერსია.

ლექციები

პროექტის „ევროპული იდეა და საქართველოს
ევროპული ინტეგრაცია“ ფარგლებში სამი წლის განმავლობაში ტარდებოდა სალექციო კურსი "ევროპული იდეა და საქართველოს ევროინტეგრაცია".
ლექციებსა და სემინარებში მონაწილეობდა 409 სტუდენტი.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები

პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჩვიდმეტმა ქართულმა და ცამეტმა საზღვარგარეთის სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების 134 მეცნიერ-მკვლევარმა, დოქტორანტმა და მაგისტრანტმა.

კონფერენციის შრომათა კრებული

მომზადდა სამი კონფერენციის შრომათა კრებული „საქართველო და ევროპა“, მათ შორის ერთი ინგლისურ ენაზე.

ვებგვერდი

პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით შეიქმნა ვებ გვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე. ვებგვერდი შეიცავს ყველა ინფორმაციას პროექტის შესახებ.

რეკომენდაციები: სამიზნე აუდიტორია - საინჟინრო ეკონომიკის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მედია ტექნოლოგიების ბაკალავრიატის სტუდენტები. მეცნიერები, მაგისტრანტები, დოქტორანტები.